ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3011740

ნომერი: AR1464333

თარიღი : 21.12.2016

გაცემის თარიღი : 29.12.2016

გაცნობის თარიღი : 11.01.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N 64 , (ნაკვეთი N005/056) / ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N 64 , (ნაკვეთი N 005/055) / ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N 64 , (ნაკვ. 05/044) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი სუთიძე პ/ნ 21001005063
- თბილისი გლდანი VI მ/რ კორ. 8 ბ. 66

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 27 ოქტომბრის #1560822 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 21 დეკემბერს #AR146433 განცხადებით მომართა ირაკლი სუთიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2014 წლის 27 ოქტომბრის #1560822 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 27 ოქტომბრის #1560822 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი, გურამიშვილის გამზირი #64, (ნაკვ #005/056), / გურამიშვილის გამზირი #64, (ნაკვ #005/055) / გურამიშვილის გამზირი #64, (ნაკვ #05/044), შპს „კოლხეთი გრუპის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 27 ოქტომბრიდან 2017 წლის 27 ოქტომბრის ჩათვლით.
სამსახურის 2014 წლის 07 ნოემბრის №1584184 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2014 წლის 27 ოქტომბრის №1560822 ბრძანებაში, კერძოდ, ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში.
სამსახურის 2016 წლის 25 ნოემბრის №2964115 და 2016 წლის 6 დეკემბრის №2981714 ბრძანებებით გასწორდა ტექნიკური შეცდომები 2014 წლის 27 ოქტომბრის №1560822 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 27 ოქტომბრის #1560822 ბრძანებაში დამკვეთად მითითებულია შპს „კოლხეთი გრუპი“.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაცია: #882016756236, მომზადების თარიღი: 07/11/2016 წ., ს/კ: #01.12.01.005.100) შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს კოლხეთი გრუპი.
მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაცია: #B14042664; მომზადების თარიღი: 17/04/2014 წ.; ს/კ: #400115870) თანახმად, შპს „კოლხეთი გრუპის“ დირექტორს წარმოადგენს ირაკლი სუთიძე.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ზემოაღნიშნულ ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები. კერძოდ, ითხოვს საზაფხულო ფართობად 3880.4 კვ.მ-ის, საცხოვრებელ ფართობად 10266.2 კვ.მ-ის, კომერციულ ფართობად 2857.1 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 3920.7 კვ.მ-ის, კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად 2250.5 კვ.მ.-ის და საერთო ფართობად 23174.9 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ – სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 27 ოქტომბრის #1560822 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 27 ოქტომბრის #1560822 ბრძანებაში, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 10266.2 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 3880.4 კვ.მ., კომერციულ ფართობად 2857.1 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად 3920.7 კვ.მ., კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად 2250.5 კვ.მ. და საერთო ფართობად 23174.9 კვ.მ.;
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 27 ოქტომბრის #1560822 ბრძანების სხვა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 27 ოქტომბრის #1560822 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.